153
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 223
ოქტომბრის 19, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 223
ოქტომბრის 19, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:— ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

1898 წლის 25 მაისის თარიღით **უმაღლესად** დამტკიცებულ სახელმწიფოს საბჭოს აზრის ძალით იმის შესახებ, რომ უნდა უკან დაუბრუნდეთ ტფილისის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებლებად ნამყოფთ მათი ამა ბანკის დასაარსებლად შეტანილი ფული და 1900 წლის 8 მაისის თარიღით ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესთა მე-7 მუხლის ძალით, ცხადდება, რომ ის, ვის ხელშიც გადასულა მეორე გვერდზედ წარწერით ბარათი ფულის შეტანისა, სახელდობრ ოთხმოც-და ცხრა თუმნისა (890 მან.) **თავადის გიორგი ზურაბის ძის ანდრონიკაშვილის** მიერ ოთხმოც-და ცხრა თუმანი ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად, მოვალეა იგი ბარათი წარუდგინოს ტფილისის გუბერნიის წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში, ამ პუბლიკაციის დაბეჭდვის დღიდგან დაწყებული, თუ ასე არ მოიქცევა, სამუდამოდ დაჰკარგავს უფლებას იმ ფულის მიღებისას ბარათის მეორე გვერდზედ ქმნილის წარწერის ძალითა და ფულიც გადაეცემა ან ზემოხსენებულს თავადს ანდრონიკაშვილს, ანუ მისთა მემკვიდრეთა. (3—6.—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—39)

№ 7. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 ოკდომბერს, 1902 წ.

დილის წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

დილის 12 საათზედ

პირველად ახალი პიესა

I
შრომის ლუკმა

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. ყდოშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ბ. რონელი.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, და სხვ.;

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე, პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ. მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი“ „ავადმყოფნი“ „პატიოსნება“ „უბედურ ვარსკვლავზე“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, შაბათს, 19-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

არტისტ **ა. პ. ბონაჩიჩის** **საბენეფისოდ.**

პიკის ქალი
(Пиковая дама)

ოპერა 3 მოქმედებად და 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

გერმანის როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინისა, არციბაშევისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, დიბრჟანსკისა, სკორუპსკისა, გრანჩენკო; ბ-ნნი ბონაჩიჩი, გრადოვი, სერგეევი, კაზიმირო, პეტროვი, ხარიდონი. სვობოდინი და სხ.

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

გამგებელი სახელოვნობო მოყვარულობისა **ივ. ფითოევი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. პიპინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

პ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

პ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ოთხშაბათს, ოკდომბრის 16-ს, მოჰხდა განსაკუთრებულ საბჭოს კრება გუბერნიის წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავსმჯდომარეობით. საბჭოს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, მინდობილი აქვს, სხვათა შორის, ეგრედ წოდებული საგანგებო (ექსტრაორდინარულ) თანხის განაწილება. საბჭომ სათავად-აზნაურო სკოლის შენობისათვის გადასდო იანვრამდინ, როდესაც თავად-აზნაურობის ჩვეულებრივი კრება მოჰხდება, 12,000 მან; ახალ-ციხის სკოლისათვის—500 მან.; კარდანახის წიგნთ-საცავისათვის, რომლის შესახებ ცნობანი ამას წინად გვქონდა დასტამბული,—150 მ.; სამკურნალო საზოგადოებისათვის—სახალხო წიგნაკების ადგილობრივ ენებზე დასაბეჭდად—300 მან. ჭრაკერვის სკოლისათვის—600 მ. ბოლოს საბჭომ, გრ. დიასამიძის წინადადებით, ერთხმად გარდასწყვიტა ჯერ-ჯერობით წრეულს ძველ ისტორიულს ხელ-ნაწერების და საბუთების დასაბეჭდად გადასდოს 1000 მან. ამ საგნის შესახებ საბჭო შეეკითხება „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას, რა და რა ხელ-ნაწერების დაბეჭდვა არის ამ ხანად საჭირო.

დანარჩენი ფული უნდა განაწილდეს ახლო მომავალში დაზარალებულ მემამულეთა შორის.

◆ ამ დღეებში მომხდარს კრებაზედ განსაკუთრებულმა საბჭომ მიიღო თავად-აზნაურობის ხარჯზე სათავად-აზნაურო სკოლაში, სხვათა შორის, ჩვენის მწერლის ლ. რაზიკაშვილის (ვაჟა-ფშაველას) შვილი.

◆ ხვალ, 20 ოკდომბერს, მიხეილის ქუჩაზე, № 156, დავიდოვის სახლში, დილის 11 საათზე, დანიშნულია დურგალთა ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება ზოგიერთ საყურადღებო საქმის განსახილველად.

◆ დღეს, 19 ოკდომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად საქმე გაზეთ „Нов. Обоз.“-ის რედაქტორის გ. მ. თუმანიშვილისა და „ცნობის ფურც.“-ის რედაქტორად ნამყოფ ა. მ. ჭყონიასი, რომელთაც დიფამაცია ჰბრალდებათ.

◆ ხვალ, 20 ოკდომბერს, მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში ფილებაში დანიშნულია დაარსება კონსულტაციისა იურიდიულ საქმეებში რჩევის მისაცემად. ეს კონსულტაცია განყოფილება იქმნება იმ კონსულტაციისა, რომელიც აგერ ერთ წელიწადზე მეტია ნაყოფიერად ჰმოქმედობს ტფილ. ოლქის სასამართლოსთან. ცხადია, რომ ეს დაწესებულება დიდს სარგებლობას მოუტანს მდაბიო და ღარიბ ხალხს იურიდიულ გაჭირვებაში და დაიხსნას ასე გამრავლებულ აბლაკატების ძარცვა-გლეჯისაგან.

◆ 24 ოკდომბერს ტფ. სამოსამ. პალატაში დანიშნულია საქმე თ. კოწია გიორგის ძის დადიანისა.

◆ ხვალ, 20 ოკდომბერს, დანიშნულია პირველი კრება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა ჯილდოზედ წარდგენილ ახალ პიესებისა. ჯილდო, როგორც ვიცით, გამოცხადებული იყო შარშან ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობისგან.

◆ 16 ამ თვეს გაირჩა საქმე იმათი, რომელთაც ბოტანიკურ ბაღის მიდამოში საშინელის ავკაცობის ჩადენა ჰბრალდებოდათ ამლახვარის 12 წლის ვაჟის შესახებ და რომელთაც შემდეგ ეს ყმაწვილი კლდიდგან გადაეგდოთ; პასუხგებაში იყო მიცემული 4 კაცი,—ორი თათარი, ორი სომეხი; ყველას საუკუნოდ კატორგაში მუშაობა მიუსაჯა ოლქის სასამართლომ.

◆ დრამატიულ საზოგადოებისათვის საპრემიოდ წარუდგენიათ სხვა-და-სხვა ავტორებს 17 პიესა.

◆ როგორც ტფილისის საბოტანიკო ბაღის გამგემ ბ-ნმა როლლოვმა გარდმოქვცა, მერმისიდგან განზრახულია გააფართოვონ ბაღოსნობის მოსწავლეთათვის ამ ბაღში არსებული სკოლა.

◆ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაუვალებია თავის ხელქვეით დაწესებულებათათვის, რომ თვალყური ადევნოს სახელმწიფო მამულების იჯარადართ, რათა პირნათლად ასრულებდნენ იმ ხხვა-და-პირობას, რაც უწერიათ ხელშეკრულობაშიო.

◆ ქალაქის საბჭოს მდივანმა ბ-ნმა ს. თ. ჭრელაშვილმა უკვე დაამზადა ქალაქის არჩევნების შესახებ დაწვრილებით შედგენილი მოხსენება, რომელიც დღეს წარედგინება ტფილისის გუბერნატორს.

◆ ქალაქის ნუზლ-სანოვაგე დუქნების პატრონებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და

სთხოვეს, რომ თითონ თავის ვარაუდით გააწეროს მათზედ ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადის ხვედრი ფული, გასაწერია 770 მ.

◆ მომავალ ხუთშაბათს დანიშნულია შეერთებული კრება საფინანსო და ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებულ კომისიის წევრთა; კრება განიხილავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციის წინადადებას, რომ ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების მაგივრად უმჯობესი იქნება დაარსდეს სავაჭრო-სატეხნიკო სასწავლებელიო.

◆ 17 ამ თვეს რიყის ქუჩაზედ, სამისიონერო ეკკლესიაში დაიწყო სამღთო სჯულის შესახები სჯა-ბაასი მალაკნებთანა და ძველ აღმასრულებლებთან (სტროობრიადელებთან); სჯა-ბაასს ხელმძღვანელობენ ამა ეკკლესიის წინამძღვარი სასულიერო სემინარიის ინსპექტორი დობრონრავოვი, სემინარიის მასწავლებელი კლენოკი და სხვ.

◆ დიდიხანია აღძრულია ლაპარაკი სამეურნეო საზოგადოების გამგეობაში, რომ საბაღოსნო სკოლა გადატანილ იქნას სხვაგან სადმე, რადგანაც აწინდელს ადგილზედ მისი დატოვება სხვა-და-სხვა მიზეზების გამო შეუძლებელიაო; უმთავრესი მიზეზი-კი ის არის, რომ ამ სკოლის ადგილის სივრცეზედ საშინელი ტალახი იცის, რაც აბრკოლებს ხოლმე მუშაობასაც დ გვალვაშიაც ხმება გოროხათაო და ეს მავნებელია მცენარისათვისაო. ამ სამის დღის წინად მოჰხდა სამეურნეო საბჭოს წევრთა კრება, რომელმაც განიხილა ზემო აღნიშნული საგანი; საბჭოს მოხსენდა სხვა-და-სხვა ადგილების შესახები ცნობანი სკოლისთვის უფრო გამოსადეგ ადგილად სცნო თ. გივი ამილახვარის მამული სივრცით 8—12 დესიატინამდე. მაგრამ სანამ ეს საქმე გარდაწყდებოდეს, დაადგინეს მიენდოს ვისმე, რომ გამოიკვლიოს, რამდენად საღია ამ ადგილის ჰაერიო; შემდეგ შემუშავდეს ხელშეკრულობის პირობა მამულის იჯარით აღების შესახებაო. იჯარის ვადა არა ნაკლებ თორმეტის წლისა უნდა იყოსო.

◆ ტფილისის სამუსიკო სასწავლებლისათვის ბ-ნთ ზუბალაშვილთ შეუწირავთ 9,000 მან. და ათასი მანეთიც საპატიო წევრად ამ საზოგადოებაში ჩარიცხვისათვის; როცა ეს სასწავლებელი ზუბალაშვილების სახლში იყო მოთავსებული, გოლოვინის პროსპექტზედ, და მათ დასჭირდათ თავიანთი სახლი, მაშინ ზუბალაშვილებმა სკოლის გამგეობას აჩუქეს 5 ათასი მანეთი, ოღონდ ხელშეკრულობის მიუხედავად ნულარ დარჩებით ჩვენს სახლებში და მოსძებნეთ სადმე სხვა სადგომიო. რასაკვირველია, სასწავლებლის გამგეობამ დიდის მადლობით მიიღო ეს ფული და გადვიდა ახლანდელ სადგომში. ამ ნაირად ზუბალაშვილმა ამ ცოტა ხანში სასწავლებელს აჩუქა 15,000 მან. ამასაც-კი ვიტყვით, რომ ამ სასწავლებელში ას მოსწავლეზედ ხუთი ქართველი მოსწავლეც არ მოდის და სწორედ უხვი შემოწირულება მიუძღვნიათ ბ-ნთ ზუბალაშვილთ ამ სასწავლებლისათვის, რომელშიაც, იმედია, თან-და-თან იმატებს ქართველ მოწაფეთა რიცხვი.

◆ 15 ოკდომბერს მოჰკლეს ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზედ ტულოვსკის ქვრივი, მკვლელის კვალს უკვე მიაგნო პოლიციამ. აი დაწვრილებით საქმე როგორა ყოფილა. ტულოვსკის ქვრივი შეძლებული იყო და ტფილისში სახლი ჰქონდა. სცხოვრობდა დიდის მთავრის ქუჩაზე, სადაც რვა ოთახი ეჭირა, სამს ქირით აძლევდა, ხუთში თითონ, ძმა და და იდგნენ. სეკდემბრში ტულოვსკისას აუყვანია მოსამსახურედ ვიღაც სვინსკი, რომელიც 26 სეკდემბერს ისევ დაუთხოვნია. 10 ოკდომბერს სვინსკი ტულოვსკისას ყოფილა რაღაც ფულის მისაღებად. მკვლელობის დღეს, როდესაც დილით ქვრივი ოთახიდგან აღარ გამოსულა, შინაურები შესულან შიგ და ქალი მოკლული უნახავთ. ყელზე ბაწარი და ხელსახოცი ჰქონია შემოჭირებული· ეტყობოდა, რომ მკვლელთან დიდი ბრძოლა გაეწია. იქვე ეგდო თურმე თითის წვერი, რომელიც, როგორცა სჩანდა, ქალს მოუკვნეტია მკვლელისათვის. ოთახს ქურდობა არ ეტყობოდა, მხოლოდ როდესაც ყუთი გაჩხრიკეს, აღმოჩნდა, რომ ქურდს 4000 მანეთის ძვირფასი ნივთები წაეღო. ამ მკვლელობის გამო პოლიციამ პირველად მოსამსახურეებს გამოჰკითხა. სხვათა შორის, დაიბარეს სვინსკიც, რომელსაც ბინა არა ჰქონია და ხან ნაცნობებთან ათევდა ღამეს, ხან ტრაქტირებში. გამოკითხვის დროს შეამჩნიეს, რომ სვინსკი ერთ ხელს ჰმალავდა. როდესაც გაუსინჯეს, თითი მოჭრილი ჰქონდა. წაიყვანეს, მოჭრილი წვერი გასინჯეს და იმისი გამოდგა, მაგრამ სვინსკი მაინც არ გამოტყდა. სვინსკი წინად ოდესაში სცხოვრობდა და ავგისტოში ჩამოსულა ტფილისს. იგი უკვე დააპატიმრეს.

◆ გუშინ წინ მოჰხდა ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებელ კომისიის კრება. კრებამ განიხილა მომავალ წლისათვის სახელოსნო სკოლისა და ქალაქისავე საპროფესიონალო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა, კომისიასვე მოხსენდა, რომ სახელოსნო სკოლაში ქვის ნახშირის ვაგონეტკა დაიკარგაო; ამის გამოსაძიებლად დაინიშნა კომისსია ი. მ. ალიხანოვისა, ი. ს. ალიხანოვისა და ლისიცასნისგან, რომელთაც მიენდოთ ამ საქმის გამოკვლევა. კომისსიასავე მოჰხსენდა, რომ ქალების საპროფესიონალო სკოლაში გაიხსნა უცხო ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსია და თხოვნები ბევრია უკვე მორთმეული ამ ადგილის დაჭერის მსურველებისაგანაო; კომისსიამ დაადგინა ყველა ეს თხოვნა გარდაეცეს ამ სკოლის გამგეს ქ-ნს ანანოვისას და მან წარმოადგინოს დასანიშნად ამ ადგილზედ თავისი ამორჩეულიო; კომისიამვე განიხილა ქალაქის სკოლის მასწავლებლის ქ-ნ ვახვახიშვილის თხოვნა, რომლითაც იგი კომისსიას თრის თვით დათხოვნას სთხოვდა და მასთანავე არ მოსპობოდა ჯამაგირი; კომისსიამ განიხილა რა ეს თხოვნა, დაადგინა: მიეცეს ქ-ნ ვახვახიშვილს თრის თვით სამსახურიდგან განთავისუფლების ნება, ხოლო მოესპოს-კი ჯამაგირიო; კომისსიამ დაადგინა, ჯამაგირის მაგივრად მიეცეს შემწეობა ვახვახიშვილისას ერთ დროებით ხუთი თუმანიო; კომისსიამ მოისმინა აგრეთვე კიდევ ერთი მასწავლებელ ქალის თხოვნა შემწეობისა. გადუწყვიტეს ხუთი თუმანი შემწეობად.

კომისიამ განიხილა ამავე კრებაზედ პროექტი პეტერბურგის უნივერსიტეტში თამამშოვის სახელობაზედ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ; ქ-ნმა თამამშევისამ ქალაქის გამგეობას გარდასცა ათიათასი მანათი იმ პირობით, რომ ამ ფულის პროცენტებით მისი შვილის მოსაგონებლად პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთს სტუდენტს უნდა დაენიშნოს სტიპენდიაო; სტუდენტი ჩამომავლობით სომეხი უნდა იყოსო; კომისიამ განიხილა რა ეს პროექტი, მოიწონა და დაადგინა, წარუდგინოს ქალაქის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად და შემდეგ მთავრობას ეთხოვოს პროექტის შეწყნარებაო.

◆ დღეს, 10 ოკდომბერს, ქალაქის სადგომში დანიშნულია ქალაქის გამგეობისა და ხორცის დუქნების კომისიის წევრთა შეერთებული კრება. კრებამ უნდა განიხილოს მომავალ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ხორცის დუქნებისა; როგორც ამ ხარჯთ-აღრიცხვით სჩანს, მომავალ 1903 წელს იმუშავებს ექვსი დუქანი და ამ დუქნებისთვის დღეში დაიკვლის 40 სული მსხვილ-ფეხი საქონელი და 40 სული ცხვარი; კომისიის გამოანგარიშებით მთელ წელიწადში ამ დუქნებს მოუნდება 40×365=14,606 სული სხვილ-ფეხი საქონელი და ამდენივე სული ცხვარი; თუ თითო სულს იანგარიშებენ 30 მანეთს, მოუნდება 438,000 მან. (14,600×30=438,000 მან.) და თითო სული ცხვარი 4 მ. შეადგენს 14,600×4—58,400 მან. საზამთრო და საზაფხულო საძოვრის იჯარა 5,500 მან. ჯამაგირი მწყემსებს 1,500 მან. სხვა ხარჯი 1,000 მან.; ხალხათ—1,500 მან., ერთი ნოქარი 360 მან.; ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი ხარჯი მსხვილ-ფეხ საქონელზედ 10,950 მან. 14,600 სულ ცხვარზედ—1,460 მან., ამ ნაირად 1903 წელში ხორცის დუქნებში დატრიალდება საზოგადოდ 518,670 მან.

ჩვენებური ამბები

ქიზიყი. რაც შარშანწინდელ გვალვის გამო შარშან უთესლობით ქიზიყს შემოდგომ-გაზაფხულის ნახნავები დააკლდა, იმის სამაგიეროდ ეხლა ყრილობენ ყველანი ქინს, კაი ამინდებიც ხელს უწყობთ სახნავად და წელს ქიზიყში დიდძალი მიწები იხვნება.

—

კაკი (საინგილო). ხუთშაბათს, 10 ღვინობისთვეს, ზაქათალის ადგილობრივ კომანდის კაკში მოსამსახურე პირებმა და გლეხკაცობამ, ნაიბის თავ. ალ. ვაჩნაძის თაოსნობით, გაუმართა გამოსამშვიდობელი სადილი. ეს კომანდა გადაყვანილ იქმნა ზაქათალიდგან ქ. შემახაში. მთავრობის მხრივ ჯარის გასაცილებლად ზაქათლის ოლქის საზღვრამდე დანიშნული იყო ოლქის უფროსის თანაშემწე კაპიტანი ალ. გველესიანი, რომელმაც დაამშვენა როგორც ჯარის დახვედრა, ისე სადილი თავისი გრძნობიერის სიტყვით. სადილზედ მოწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნიც; სადილის დროს უკრავდა სამხედრო მუსიკა და სადღეგრძელოებს მოსდევდა განუწყვეტელი „ვაშას“ ძახილი. ჯარის უფროსმა ბ-ნმა ოსტროვსკიმ დიდი მადლობა გადუხადა კაკის საზოგადოებას და ეს გამასპინძლება კაკის საზოგადოებისაგან დეპეშით აცნობა ოლქის უფროსსა, რომელსაც მადლობას სწირავდა ამ გვარ დახვედრისათვის. სადილს მოჰყვა თამაშობა, როგორც სამხედრო მუზიკაზე, ისე ზურნაზედაც; მეორე დღეს როგორც უფროსები, ისე ჯარის კაცნი, ნუხისაკენ ვაემართნენ.

აქ მძვინვარებს რაღაც ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებლებს, მაგრამ ამათი მშველელი-კი არავინ გამოჩნდა დღემდის, თუმცა დიდი ხანია სოფ. კაკში არსებობს სამკურნალო ექიმით და ორი ფერშლით. ქუნთრუშამ და ხუნაგმა ხომ ბავშვებზედ გაინავარდა, ამბობენ, კაკში ხოლერობის დროსაც არ დახოცილა იმდენი ხალხი, რაც წელს დაიხოცაო.

გ. ფარადაშვილი.

—

აბაშა (სამეგრელო). იყო დრო, როცა იმის წუხილში იყვნენ, ხალხი სწავლა-განათლებას არ ეტანებაო, რა ბედნიერი ვიქნებით, ხალხში სწავლა განათლების სურვილი, რომ გაიღვიძებსო. დრონი იცვალნენ. ახლა ყველა ეტანება სწავლას, ყველას სურს თავისი შვილი აღზარდოს, მაგრამ ყველასთვის სასწავლებელში ადგილი აღარ არის! სექტემბერს ნორმალურ სასწავლებელში იკრიბება მრავალი ბავშობა და ამათგან, სკოლაში უადგილობის გამო, წილის ყრით იღებენ მხოლოდ ზოგიერთებს, დანარჩენები ტირილით შინისკენ მიდიან. აბაშის ნორმალურ სასწავლებელში წელს პარალელური განყოფილებები გახსნეს, მაგრამ კიდევ ბევრი ყმაწვილი დარჩა სკოლის გარედ, თუმცა თითო კლასში 70-მდე მოსწავლე მიიღეს. რა უნდა ქნას მასწავლებელმა 70-ის მაყურებლის და მსმენელის წინაშე, ამდენს სულს როგორ გაუძლევს, რიგიანად როგორ ასწავლოს?! ჩვენს სასწავლებელში ხუთი მასწავლებელია და ეს კიდევ ცოტაა ამდენის ბავშვებისათვის. კარგი იქნება, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს სახალხო სკოლების ინსპექტორი. ურიგო არ იქნება, ამ ნორმალურ სასწავლებელს საქალაქო სასწავლებლად გადააკეთებდნენ.

ჩვენის სკოლის ზედამხედველს ფარნა დგებუაძეს უბედურება შეემთხვა: ახალ-სენაკში კინაღამ მატარებელს ქვეშ არ მოჰყვა, თუმცა გადარჩა, მაგრამ არა უჭრილობოდ. იგი სამტრედიის საავადმყოფოში გაგზავნეს.

საქალებო სასწავლებელი აბაშაში ორია და მათშიაც ტევა არ არის, და სკოლის უფროსები იძულებულ არიან ბევრს სწავლის მსურველს უარი უთხრან.

ა. ლ.

—

დ. ცხინვალი. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ჩვენ ბევრი რამა გვაქვ ცხინვალზედ სათქმელი და ცოტაც რომ არა ვთქვათრა, ყოვლად შეუძლებელია. ცოდვილს თუ თავისი ცოდვა ჩქარ-ჩქარა არ მოაგონე, წრეს გარედ გავა. ცხინვალს თუმცა მეთვალყურეები არ აკლია, მაგრამ მეტის-მეტი ვიწროობა, ერთმანეთზედ გადაბმულ-გადმობმული შენობანი, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ოღრო-ჩოღროდ დაგებული ქუჩები აძნელებს გასუფთავებას. ოთხი თავიც რომ გამოიბას პოლიციამ თავის სანიტარებით, ვერას გახდება ამისთანა თავქეიფა ხალხში. დალოცვილებს, რაღა ბრძანება და თქმა უნდათ დასუფთავებაზედა და დაგვა-დაწმენდაზედ?? ანკი რა უნდა გააწყოს კაცმა: ყველა დუქანს ბოსელი აქვს, რომელიც ნახირით არის სავსე; ცხენი და ვირი დუქნიდგან შეჰყავთ ბოსელში და დუქნიდან გამოჰყავთ. ჩემის აზრით, ეს ბოსლები თუ დუქნებს არ მოჰშორდა, თავის დღეში სისუფთავეს ვერ ეღირსება ცხინვალი. წყალმა ლამის წაიღოს ცხინვალი და ვერ მოუხერხებიათ ოთხივ კუთხივ არხით შეაერთონ დიდ ლიახვთან, რომ ყოველივე უწმინდურება წყალს გაატანონ თან, ხოლერობის წელიწადს ქართველების ეკკლესიას ჰქონდა წყალი გამოყვანილი და ეს წყალი მთელ ბაზარს თავით ბოლომდის ასუფთავებდა. დღეს-კი ამ წყალს ველარა ვხედავთ. ეტყობა, მეტ ბარგად მიიჩნიეს მეტი სისუფთავე.

ცხინვალელებს სასწორი შესაფერ ადგილას არა აქვთ; საყასბოსათვის-კი ზედ გამოჭრილი ადგალია, თუ ვინმე სარგებლობს. ბევრი წილი საკლავის საქონლისა ბოსლებში იხოცება. არც ეტლების მიმოსვლაა წესსა და რიგზედ მოწყობილი. არ იქნა, ერთი ნიხრი ვერ დაზდეს, რომ კაცმა იცოდეს გადაჭრილი ფასი დ ისე ულაპარაკოდ იაროს. ერთ დღეს მანეთად მიჰყევხართ, მეორე დღეს ორ მანეთსა გთხოვს. თუ ცას ნამი გაჰვარდა, მაშინ თავისი ნებაა. არც ჩვენი მოგზაურნი არიან პირნათელნი: აქაო და შეუფერებელ ფასსა მთხოვს და მახდევინებსო, ბარგს ბარგზედ უმატებს, ყუთს ყუთზედ ადგავს. კვახი რა არის, ესეც-კი ფაიტონითა და დილიჟნით მიაქვს. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვისაც არა აქვს რა წასაღებ-წამოსაღები, იმას რას ერჩიან?! მე ვგონებ, მოვალენი არიან, ყოველ მგზავრს თითო ფუთი ბარგი მუქთად წაუღონ როგორც კახეთის დილიჟნები იქცევიან. დანარჩენ ბარგზედ-კი შესაფერი გადასახადი დააწესონ. რაკი ერთხელვე ეცოდინება კაცს, თავისი რა უნდა გადაიხადოს და ბარგისა ფუთის თავს რა, საწყენი და სადავიდარაბო აღარა იქნება-რა...

ცხინვალელს სიხარბით ველარა გაუგია-რა.

ფელეტონი

თამარიანი[*]

თამარ,
სამებად ქსული
საუფლო სული
მისთვის მოგბერა (რომ დავით)
არს თქვენი მცველი.
და თამარი,
მზეებრ სავანე,
სულის სავანე
თან განწყობად ძისა
სწორად მამისა,
ზენათ ცხებული
გმირი ცხვებული
მჯობი ყოვლისა
მხნეთა მამისად,
ანათობს ისოს,
მით არცხვენს ისოს
შუქის კრთომისა
შეუდგამისად:
ზნედა სჭირს ესა,
არ ეტყვის მზესა:
„სამხარ მელოდე,
სჩან მაღლაისად?
არე ნასული (ქვეყანას გამოსული)
არენ ასული (არენ=აარე)
შემწედ მესიას
აღნათქვამისად?“
ისუ ნავვესვით არ იტყვისო- „შესდეგ მზეო,
არამედ თამარი
თვით დგას ეტლითა
მსწრაფლ მომხვეტლითა
გულსა შხამისად
თამარს ნიავით მისცემია საუფლო სული[32],

საწადელი გრძნობა, ვრცლად განბრძობა. ჩემი მუსიკობა მას ვერ შეასხამს ქებას, პლატონისებრი შესხმა არ ძალმიძს. თვით მასაც არ აჩნევია, რა მიაჩნია საქებრისად. გარნა დავმღერით:

შენ მწუნობი ხარ მნათობთა!
არ ისასმენლებ, არ იდენ!
მენ შუქნი ელვა-ეთერთა
მზისა მწვერვალთა არიდენ.
შენ სისხლთა შენთა ურჩთასა
უზღო უმსგავსოდ არ იდენ.
აწცა ნათლისა ისარი
მჭვრეტელთა გულებს არიდენ!
გვიან შენებრთა ძებნანი!
რკინისა ხამლთა შესხმანი!
მსგავსად იქილვე ტროელთა
დიონოს წიგნთა შესხმანი.
შენთვის ჰხმდა არისტოტელი
უმიროსისგან შესხმანი!
ვერ ცა და მტევრობს სოფელი,
არა თუ ჩემნი შესხმანი![33]
თამარ, შენ გიცნობ
ცად საყდრად ღრუბლად,
ლაწვ ბროლ ვარდ შუბლად;
როკვიდა შენთვის
პირველი დავით
განცხადებულად,
სოლომონ გხმობდა
სახელდებულად:
„ასულო ჩემო,
მჭვრეტთა შემჩემო (შემჩემებელო),
სჩან სიკეთითა
განმშვენებულად“.

მსმენელთ ვაუწყებ, რომ შენი სიკეთე, მეფეო, ყველას აკვირვებდა: რადგან გქონდა მოწყალე სული, იყავ მშვიდი და წრფელ, თვით მიდიელთ და სპარსთაც მოუნდათ ერთსამწყსოობა, შენს უფლებაში ყოფნა, შენი მონობა, შენთვის თავდადება. ფიცით ვიტყვი, რომ

სციკრობ შენ ნათლად,
ბრწყინვალედ სანთლად.

ნათელი შენი დიდია, ედემურია, შენ რომ დაბინდდე, მაინც დაბნელებულად არ ითქმი, შენ ვერვინ გბადრობს, ვერც შობილი, ვერც სწრობილი,

შენგან სჩანს მთვარე
დასაწყლებულად.

თუნდ არია-კრონოსმა ენა გარდამისკნას, მაინც ვარდს შეგიდარე ნაშენობა შენი, შენსავით ქმნილებას ვერც ბრძენთა ხელოვნება შეჰქმნიდა! ამიტომ რომ

მამან ძე ჰყო,
ძემან სულითა
გულსა დაგისხა
სიწრფოებანი.
და
წამწამთა ხრანი
ვისკენც ჰქმენ ცხრანი,
ცხრა-ათასს ექმენ
ნატირებანი![34]
აწ
გტრფიალობს ლომი,
ნებროთს სჯობს ძალათ,
დებორს ჰმატიან,
დანთქავს აბირონს
უკლებობს ლაღი
მბრძოლთ გულის მდაღი,
სპარსთა სისხლისა
დანაკლებანი
ბედ-დიდობს მრავლად,
აქვს სვე დიდ ვალად:
პონტის ზღვისითგან
არს უფლებანი,
უძრწის შამალი(შამელი=სირიელი),
ევლტვის ხალიფა,
იტყვის შარიფა:
„აწ გაგვიცუდდა
სჯულის-დებანი!“[35]
თარშით და დალბით,
ეგვიპტ, ალაბით,
სძღვნენ ნიჭად თვალთა
და მონებანი (მონებს);
მცრობს აქა ალევს (სოფელს ალევს)
მბრძოლთა ქაალევს (ხალეპოს)
რა მძლედ ავა, დის (მოდის)
მოხსენებანი:
„ახალო ხვასრო!
ბაღდადით-სპარსო
ააევლესო!
დასვენ ებანი[*], (დამკვრელ-მომღერალი)
რომელსა მშვიდნი
ვერ გსწორვენ: შვიდნი
წყალ-ჯავარისა
დაშვენებანი“.

დავითი საბრძოლად რომ წავაო, მაშინათვე მახარებელი მოდის ძლევის ამბითაო: „თამარ მეფეო („ახალო ხვასრო“) ბაღდადით სპარსეთამდე ააევლესო, გაიხარე და მკვრელ-მომღერალი (ბანი) დასვიო, ამიტომ რომ შენ ვერსად ვერ გასწორვენ შვიდნი წყალჯავარისა დაშვენებანიო“.

თამარ, ბევრი ერი შემუსრე. ოსი გაჰგზავნე და ბობქარ აოტა. ღმერთმა

არსად მოსრული,
შენოდნად სრული,
არა ჰყვნა თქვენებრ
განკაცებანი.[36]

ღმერთმა ქვეყანა შეჰქმნა, ხოლო თამარი ნათლითა სრულჰყო[37], ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად. და

უკლები ესე
არს გულსა მთესე
შიშსა ღვთისასა
დაუვიწყებად,
მაღალი დიდი,
უკლები, მშვიდი,

---

[*] იხ. „ივერია“ № 204.

[32] ქ. ცხ. (გვ. 279): თამარ „განაგებდა, ვითარ მოჰბერვიდა სული“. შავთელი (ტ. 72): „წმიდად აქვს სული დასთა (ზეცის ძალთა) დასული“. იგია „ზღუდე სულისა“ (ტ. 16).

[33] შავთელი, ტ. 108: თამარის შესხმა ვერ ვუძლეთ უნდო, უხმართა ენათა მიერ, ვერც მისი ძნელად გამოსათქმელი ქება, ამიტომ, რომ მას ვერ შეაქებენ ღირსად ვერც ათინელთ ბრძენნი, ვერც მესტროლაბნი‘ ვერც დავით და სოლომონ და ვერც ეკკლესიასტე ასრამარ გრძნისა (ტ. 2, 102—103).

[34] შავთელი (ტ. 67): „თამარს“ სჭვრეტდენ ხვეჭით, ნდომით, სულწასულობით. გულსა ეტყოდეს მისთვის დაგულსა: „რადგან დაებით, ბარემ სულ ებით“. თავს აბრალებენ. ის-კი „წამწამ ისროდის: ვერ განქაროდის მზენი ლახვართა მისთა სრულებით“. ამასვე გვეუბნება ქ. ცხ. შესახებ თამარისთვის სულ-გულ წასულებისა და გულ დაგულებისა.

[35] შავთელი (ტ. 82—83):
მაჰმადის სჯულსა,
თვით მეზლაპრესა
ცუდ ფლამბარსა
ეც მოსეს ხითა
და ამ დუხჭირთ მოსაქცეველად „სჯულნი შეუქმნის“.

[*] ქ. ცხ. (გვ. 291): „ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან.
„ვის უნდეს ცნობად,
ნახოს ქალაქნი,
ციხენი, თემნი,
სულტანთ სასხდომნი,
მისგან ახმულნი
და საზღვარნიცა
განფართებულნი,
„ერაყამდის ქვემოდ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარალამდის, და თვით იგი ხალიფა შეშინებული დ მოაჯ“. შეადარე ხალხ. ლექსი ისპაანს ხარჯი ავიღე, და სტამბოლს ბეგარა დავადე და სხ.

[36] შავთელი: თამარისებრი სად ვინ არის ქვეყნის ოთხსავე კუთსეს. ზესკნელს, ქვესკნელს? (ტ. 3); „ახალო რომო, შენთვის სთქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა“. (ტ. 105). ამასვე ამბობს ქართლის ცხოვრება. „ჩახრუხაძე“ (ტ. 87): თამარისებრი „ვინ სჩანდა ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად?“—„არსა, არს შენებრ უკლები და საჩენალი“ (ტ. 79).

[37] შავთელი (ტ. 95): „ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა... თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა“.

აბაზად ნაყიდი მანეთად უნდა გაჰყიდოს, თუნდა მყიდველი თავისი ღვიძლი ძმა იყოს. ამ გაუმაძღარ ყიდვა-გაყიდვასაც არა სჯერდებიან. უცებ უნდათ გამდიდრება. ამ გამდიდრებისათვის არაფერ საშუალებას არა ჰზოგავენ. იცით, გასამდიდრებლად რა საშუალება აურჩევნიათ? დღედაღამ დადიან და დაეძებენ შინ და გარედ იმისთანა ბეხრეკს ვისმე, რომ დააზღვევონ და უცებ გაიმდიდრონ თავი. გულის წადილის შესასრულებლად ყოველ გვარ სიყალბესა სჩადიან. ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა ვაჭარმა ერთი ვინმე დააზღვევა და თურმე საწამლავით მოსწამლეს. გულმუცელ დათუთქულმა კაცმა ექიმის შემწეობით სიცოცხლე დაიბრუნა და დღესაც ცოცხალი დადის. მისმა აგენტმა-კი თქვენი ჭირი წაიღო. მოგახსენებენ, ელდამ გადიტანაო. მიუტევე რეგვენთა, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. მეტს არას ვიტყოდით ამისთანების შესახებ, რომ ამ საერთო ფერხულში ისეთ კაცთაც არა ვხედავდეთ ჩაბმულთ, რომელთაც სრულიად არ შეჰფერით ასეთი ქცევა. გვარსა და სახელსაც ვიტყოდით იმათსას, მაგრამ, დაე, ყველამ თვალ იცნეს თავისი თავი და ჩვენ მაინც არავის დავკლავთ უდანოდ, ხოლო ნუ დაიეიწყებენ, რომ მარილნი არიან ქვეყნისანი და ძნელია, როცა ბაძით წახდების ერია.

ერთი მასწავლებელი ქალი თურმე ახალ მეთოდით ასწავლიდა ქართლის ერთ სოფელში, ესე იგი თმების აწევით წერა-კითხვას და შეგირდები თურმე გაფიცულან, სუყველამ ერთად თმები გადავირთვართ ძირშიო და ასეც მოქცეულან. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ინტელიგენტებსაც და გავათაოთ. თუმცა სამკალი ფრიად დიდია, ხოლო მუშაკნი ერთობ მცირე. ხოლო ვინც არიან, ესენიც ერთმანეთის წეწვა-გლეჯაში და კარტის თამაშობა და სხვის გაკილვა გაკიცხვაში არიან. მე იმისთანა მოწინავეს კაცია თუ ქალი, მოწინავეს არ ვეძახი, რომელიც, პირადის ინტერესებით გატაცებული, ადამიანურ ადამიანობას დაჰკარგავს და მხოლოდ იმის ცდაშია; ვინ დაამციროს, ვინ შეარცხვინოს, ვინ გალანძღოს უსაბუთოდ, უდანაშაულოდ.

ამას ვწყინებ, ავნი ავსა
თვით იქმენ და სხვას-კი ძრახვენ.
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების,
უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.

დროებითი მეთვალყურე.

რ უ ს ე თ ი

სენატმა განმარტა, რომ ქალაქის საძოვრისათვის ფასის გარდახდა შეწერილ ხარჯის ფურცლებში არ უნდა იქმნას ჩართული და, ქალაქის დებულების 127 და 136 მუხლის ძალით, ქალაქის გარდასახადთა შორის არ ჩაირიცხება. ამისათვის მისი გარდახდევინება არ შეიძლება.

— ხვალ, 19 ოკდომბერს, შესრულდება 60 წელი, რაც რუსეთის პოეტი კოლცოვი გარდაიცვალა.

— 15 ოკდომბერს, პეტერბურგში ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში დაიწყო სახალხო ლექციების კითხვა ფიზიოლოგიასა და ჰიგიენის შინაარსისა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ აკადემიკოსმა ი. რ. თარხნიშვილმა. თავის ლექციის შესავალში მან აღნიშნა ბიოლოგიისა, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლეში.

— საჭიროა თუ არა რკინის გზის ტელეგრაფისტებს განათლების ცენზი ჰქონდეთ? ამის გამოსარკვევად შემდგარი იყო კომისია, რომელსაც უკვე დაუსრულებია თავისი მუშაობა. კომისიის აზრით, ტელეგრაფისტისთვის საკმარისია, სამ კლასიანი საქალაქო სასწავლებელი ჰქონდეს გათავებული. ამავე კომისიამ გამოიკვლია, თუ მატერიალურად რა გაჭივრებულ მდგომარეობაში არიან ტელეგრაფისტები, რა ღონის-ძიებანი უნდა იქმნას მიღებული მათის ასეთის მდგომარეობის ცოტად თუ ბევრად შესამსუბუქებლად. ჯამაგირი თანდათან უნდა ემატებოდეს ტელეგრაფისტებსაო. პირველად უმცროს ტელეგრაფისტს უნდა დაენიშნოს 360—420 მ. უფროსებს—420—900 მან. მათ უნდა მიეცეთ აგრეთვე უფასოდ ბინა, და, ვისაც ბინა არ მიეცემა, მის მაგიერ ფული უნდა ეძლიოთო.

უ ც ხ ო ე თ ი

ინგლისი. ირლანდიელებმა გადასწყვიტეს, არ მისცენ სავატი მთავრობას, სანამ ირლანდიის საქმეთა განსაბჭობად არ დანიშნავს იგი ვადას.

გასულ ოთხშაბათს ნაციონალ დეპუტატი ო'ბრაიენი კიდევ შეეკითხა ბალფურს, თანახმა ხართ, თუ არა, დანიშნოთ დღე ირლანდიის საქმეებზე მოსალაპარაკებლადაო. წამოდგა ლიბერალ-ოპოზიციის ლიდერი კემბელ-ბანერმანი და განაცხადა, სავსებით ვუერთდები ირლანდიელთა მოთხოვნილებასაო. ბალფურმა უპასუხა,—მხოლოდ იმ შემთხვევაში დავნიშნავ დღეს, თუ კემბელ-ბანერმანი, როგორც ოპოზიციის მეთაური, ფორმალურად განუცხადებს მთავრობას საყვედურს ირლანდიის ეხლანდელ მდგომარეობის გამოო. კემბელ ბანერმანმა უარ ჰყო ეს წინადადება—ეგ მხოლოდ ირლანდიელების საქმეა და არა ლიბერალთა ოპოზიციისაო. ბალფურმა არ იყაბულა ეს სიტყვები; და კიდევ თავისი წინადადება გაუმეორა. მაშინ ო'ბრაიენმა მეორე კითხვა მისცა პრემიერს: მოეხსენება, თუ არა, მთავრობას, რომ შეერთებულ ირლანდიელთა ლიგის კრებას, რომელიც ბოსტონში მოხდა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა დეპეშა გაუგზავნა და თავისი თანაგრძნობა განუცხადა; და თუ მოეხსენება, აქვს, თუ არა, განზრახვა ინგლისისა და ამერიკის მეგობრობის განსამტკიცებლად განაცხადოს, რომ მზადაა რუზველტისაგან ისწავლოს, თუ როგორ უნდა ჰმართავდეს იგი ირლანდიის საქმეებს. (ასტყდა სიცილი) სპიკერმა შეაჩერა ო'ბრაიენი და უთხრა,—ეგ წინადადება არაა მოთავსებული მორიგ საკითხთა შორისაო. მაშინ ირლანდიელ დეპუტატმა განაცხადა,—მაშასადამე, პალატის კრებები მანამდე უნდა გადასდოთ, სანამ განხილული არ იქნება ეს მეტად საგულისხმო დეპეშა რუზველტისაო. მაგრამ სკიპერმა უარი სთქვა, მაგგვარ წინადადების შესახებ კამათის ნებას ვერ მოგცემთო.

ირლანდიის საქმეებს კრება თითქმის მთელს საათს მოუნდა: კონსერვატორთა გაზეთობა სულ ცეცხლს იკიდებს,—ირლანდიელები არამც თუ ტყუილ-უბრალოდ აკარგვინებენ დროს პარლამენტს, ინგლისის მეგობარ რესპუბლიკის პრეზიდენტიც-კი საქმეში გახვიესო. ამ გაზეთების სიტყვით, რუზველტს არავითარი დეპეშა არ გაუგზავნია ირლანდიელთათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლადაო.

სერბია. ბელგრადიდგან მოსულ ცნობებით, მეფე ალექსანდრეს უარ უყვია ახალ სამინისტროს შედგენა ცინცარ-მარკოვიჩის თავმჯდომარეობით, რადგან სერბიის ჟურნალ-გაზეთობა მეტად მტრულად მიეგება ამ ამბავსაო. როგორც „Народ. Лист.“-ის კორესპონდენტი იუწყება, მეფე ცოტა არ იყოს, დაუმშვიდებია იმ ცნობებს, რომელიც სერბიის პეტერბურგელ ელჩის ნოვაკოვიჩისაგანა და ბელგრადელ რუსეთის ელჩის ჩარიკოვისაგან მიუღია. ველიმიროვიჩის ახალს სამინისტროს ყველანი სიხარულით მიეგებნენ, უკიდურესნი რადიკალნი და პაშიჩის ჯგუფიც-კიაო. ახალი სამინისტრო მით უფრო საიმედოთ მიაჩნიათ ბელგრადში, რომ იგი საუკეთესო სერბ-პოლიტიკოსთა მიერ იქმნა არჩეული თვით მეფის თავმჯდომარეობითაო.

ამ ბჭობას დაესწრო 18 რადიკალი, იმდენივე ნაპრედნიაკი (პროგრესისტი), 17 ლიბერალი და რამდენიმე ნეიტრალი. კრების დაწყებისათანავე მეფემ განაცხადა, გარეშე პოლიტიკის ერთს საკითხში არ ვეთანხმები ვუიჩის შეხედულობას და ვგონებ, რომ სერბიასა და რუსეთის შორის უწინდელებრ საუცხოვო განწყობილება დარჩებაო. მაშასადამე, ვუიჩის სამსახურიდგან გადადგომას სულ სხვა მიზეზი აქვს, როგორც შინაურ, ისე გარეშე პოლიტიკაშიო.

კრების უმეტესობა იმ აზრისა ყოფილა, რომ ახალი სამინისტრო სხვა-და-სხვა მიმართულების წარმომადგენელთაგან შემდგარიყო (მაგ., რადიკალებისა, ნაპრედნიაკებისა და ლიბერალთაგან), მაგრამ ლიბერალთა მეთაურმა აბბაკუმოვიჩმა განაცხადა, ლაბერალებს არ შეუძლიანთ უარი სთქვან თავის მოთხოვნილებაზე, სენატის გაუქმებისა და კონსტიტუციის ხელახლად გადასინჯვის შესახებაო. პაშიჩის მომხრენი თხოულობდნენ სრულიად რადიკალურს სამინისტროს და იმით ასაბუთებდნენ თავიანთ აზრს, რომ მცხოვრებთა უმეტესობის სურვილიც ესაა და ბალკანეთის დღევანდელი მდგომარეობაც ასეთ სამინისტროს ჰსაჭიროებსო. რედაქტორ თოდოროვიჩმა ილაპარაკა მეფის რუსეთში მოგზაურობის დიდს საპოლიტიკო მნიშვნელობის შესახებ. ორატორის აზრით, ეს მოგზაურობა დიდს სარგებლობას მოუტანს სერბიასა, რადგან დანამდვილებით გამოირკვევა რუსეთ-სერბიის ურთიერთობაო. დასასრულ ვუიჩის მომხრეთ და თვით კრების თავმჯდომარე მარინკოვიჩმაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ სამინისტრო კვლავაც ზომიერ-რადიკალთა ნაპრედნიაკთაგან შესდგებოდეს წინანდელისავე პროგრამითაო.

კვირას ვუიჩის კაბინეტი სამინისტროში მიიწვიეს და ვუიჩსა სთხოვეს სამინისტროს თავჯდომარედ დარჩენა, მხოლოდ ფინანსთა მინისტრის პორტფელით (გარეშე საქმეთა მინისტრის მაგივრად), მაგრამ იგი არ დასთანხმდა; შემდეგ მიჰმართეს ველიმიროვიჩს, რომელმაც იკისრა ეს თანამდებობა.

ავსტრია-უნგრეთი. მერვე საერთა შორისო საპატიმროთა შესახებ კონგრესი დანიშნულია 1905 წელს ბუდაპეშტში.

სხვა-და-სხვა წერილები

სასოფლო სამეურნეო საჭიროების მკვლეველთა საყურადღებოდ.

გამოცდილ ადმინისტრატორის მიერ სოფლის საჭიროების კვლევა ს. გომარეთში. უმიწა-წყლობით და სათემო წესთა დავიწყებით დამართულნი სენნი სოფელში. შეპყრობა ამ სენით მთელი ქართლ-კახეთის სოფლებისა, დაქვეითება და ზარალი ამის გამო; სათემო წესების აბურად აგდება მარქსისტობის, ევროპიულ ინდუვიდუალურ ცხოვრების გამდევრობის გამო.— ზარალი ამის მიერ.

> „Пиши, говори, кричи всякій, у кого есть хоть сколько нибудь безкорыстной любви къ отечеству, къ добру, истинѣ“.
>
> Бѣлинскій.

I

ბორჩალოს ახალმა მაზრის უფროსმა ბ-ნ მანშიევმა სამერმისო სამოქმედოდ შემოიარა მთელი მაზრა და გაიცნო სოფლის საზოგადოებათა გაჭირვება-ავკარგნი. ამბობენ, ამისთანა საჭირო საქმე სხვა აქაურ მაზრის უფროსთ ფიქრადაც არ მოჰსვლიათ, იმიტომ ისე წავიდ-წამოვიდნენ, რომ ხალხი მათ არ იცნობდა და იგინი ხალხს... უნდა შევნიშნო, რომ დათვალიერებასაც თაბაუთი აქვს. ბ-ნი მანშიევი, წინედ ქიზიყის მმართველი, ეტყობა გამოცდილა, იმიტომ გულახდილ საუბრით, როგორც ხელის გულზედ, ისე გადაამღერებინებდა ხოლმე სოფლელთ მათ ავ-კარგს. გერმანელ ახალშენს ალექსანდროგილფში გულდასმით გაშინჯა სასოფლო ყველის ქარხანა, რომლის ბადალი არ არის კავკასიაში და ესტუმრა იქვე მყოფ ქართველ სოფელ გომარეთს.

გამოკითხვიდგან აღმოჩნდა, რომ გომარლების დიდი ჭირი მამულის სივიწროვე იყო. ამიტომ უსაბუთო გამოდგა ყვედრება: „რატომ თქვენკი ყველის ქარხანას არ აარსებთო?..“ თურმე ეს სურვილი მათ დიდი ხანია ჰქონიათ, მაგრამ ფონს ვერ გასულან. ამათ ძროხა სამჯერ მეტი აწველით გერმანელებზედ, მაგრამ საძოვრის უქონლობის გამო ზოგი ტყეში სწველს, ზოგი დრეში, ზოგი ბარში, ზოგი მთაში. ნაწველსაც მამა-პაპურად უხეირო დო-ყველად ჰქმნიან და გული უკვდებათ, როდესაც ჰხედავენ, რომ გერმანელების ნაწარმოები ოქროს ფასად გადის და იმათი-კი მუქთად... თვით ქარხნის წესები გომარელთ შეგნებული აქვთ, რადგან გერმანელების ქარხანაში იგინი მუშაობენ. იმათებური გლეხია თავი მწარმოებელი ქარხნის, თუმცა თანაშემწეს ქახიან და ოსტატი გერმანიიდგან მოსული 1600 მან. ჰყავთ წელიწადში და ეს-კი 400 მანეთად. იციან, რომ გერმანელი ათი ძროხით წელიწადში 600 მან. ხალასს იღებს და ეს-კი არაფერს...

მაინც მაზრის უფროსს ეს საუბარი უსაბუთო ეჩვენა და ნათქომს კვალში ჩაუდგა; მაგრამ უარესი აღმოჩნდა: ესენი უთვილან მკვიდრნი ამ მხარისა და ბლომად ჰქონიათ ძვირფასი საძოვარნი, სათიბ-სახნავნი. უხნავთ ათ უღლიან გუთნით უხვად შავი და მეტი ნოყიერი ნიადაგი. ამ სამოცი წლის წინედ გადმოურეკნიათ გერმანელები, დუხობორები, ბერძნები, თათრები ამათ გარეშემო და ისე უწესოდ მოუჭრიათ ამათ მამულისთვის, რომ აღარც საძოვარი შერჩენიათ, აღარც სათიბი და მიწა-წყალი გარდა შეცოტვებისა, ზოგან ლარივით გაუშვიათ სხვათა სოფელთა მფლობელობის შუა, ზოგის ამათში შეუჭრიათ შიგნით რავდენსამე ვერსზედ... ადა-მაჰმად-ხანი უარესს ვერ უზამდათ!.. დაჰკარგვიათ გზა-კვალი: ნაცვლად სათემო ნახირის ძოვებისა, უბედურად დაკერძოებულან. შეჩვეულნი ბლომა საქონლის ყოლას, ვეღარ შეელევიან მას, ამიტომ მოსდებიან ბორჩალოს მაზრის მთა-დრეებს და 7,000 მანეთს მარტო იჯარას იხდიან წელიწადში. სასყიდელი მამული ახლო-მახლო არაა, თორემ სიამოვნებით იყიდდნენ. თვით იჯარით აღება მეტ სიძნელეს წარმოადგენს აქ. მამულის პატრონები შორს სცხოვრობენ და მათნი მოურავნი მეტად უკუღმა გზას ადგანან... მამულს უენო თათარს მისცემს და გულახდილ ქართველს არ ენდობა...

როდესაც აქ ესე ვნახეთ, გერმანელების ახალშენს მშვენივრად ჰქონდა შემოფარგლული მამული, სანახირო ცალკე, სათიბი ცალკე, სახნავი ცალკე და უოველივე უხვად, ტყეც-კი მათთვის საკუთრებად მიზომილი, გომარლებს-კი არ გააჩნდათ არც ტყე და არც საძოვარი. გერმანელის სასოფლო მენახირე ათას ძროხას აძოებს უდარდელად, ცხენის ნახირი, დორის, ბატის, ზროსი თავ-თავის რიგზედ გადის, გომარეთში ყველა თავის საქონელს კუდს უკან უნდა მისდევდეს, რომ სხვისაში არ გადაუშვას...

თქვენი გაჭირვება, ბიჭო, ისეთი უთვილა, რომ მე არ ძალ-მიძს გიშველოთ, ჯიბეში რაც ფული მაქვს, იმას-კი გაჩუქებთ და სხვაფრივ-კი ვერას გიშველითო, ბრძანა მაზრის უფროსმა.

II

განა მარტო ეს ერთი სოფელია ჩვენში გზაკვალ დაკარგული უმიწა-წყლობით და სათემო წე-

---

წრფელი, უცრუო,
ჯავარ მოცალე,
ტკბილი, მოწყალე
ყოველთა კაცთა
განურისხევად;
ურჩთა მოგვიდებს
ცითა ნაწოლდებს:
დავითს უწოლდა
მეფეთა ძებად (ჯდომად) [38]

და მან

ხელჰყო ისლამთა
ცაცხლისა დებად:
ჯაჭვ-ურთა მფქელი
გამოჩნდა ქველი
და აქალფათა
დაეწყო ძლებად,
მოწყვე ომთა
დაუშრომითა
თურქნი განსხნა
დაუყოვნებლად,
მან ათაბაგსა,
ხვარაზმშას მღვსა,
კეთილ-განრჩეულ
სჯულთ უდვა მკნებად [39]
მოუმძ სვიანი
ისვიანი
ლაშა აქებნა (აქებნინა)
ლხინად და შვებად:
შიშითა მკრძალი,
სიფოთა ძალი
მოგზავნა დიდთა
ცხენთა ძღვნებად. (ლაშა-თამარის-
უდრი ითხოვა, (თვის),
მზე მოითხოვა
ბნელისა კართა
ნათელთა ცებად [40]).

სოკრატ, პლატონი, არისტოტელი, ქვეყნის ზომის მომგონნი ქალდეველნი, ზოროასტრი არ არიან, თამარ, შენი სადარი, ამიტომ რომ: მადლის მტერი რომ გამოჩნდა და შეაცდინა ევა, მაშინ ღმერთმა ორთავე გამოდევნა სამოთხიდგან, კაცს უბრძანა: ოფლითა შენით სჭამდე პურსაო, გველს—საჭმლად მტვერი გექმნებაო, ორთავეს:—შენ სცემდე მას თავსაო და ის (გველი) ნესტარს გასობდეს ფერხსაო. ამის შემდეგ არ დაწყნარდა მაცდური, იწყო ცდუნება ერისა. ამან გამოიწვია წყლით-რღვნა. გადარჩა ნოე. მაცდურმა კვლავ გაიმარჯვა სამქე. ღმერთმა ისევ დავითის (ურიათა მეფე) შენგან იშობება მხსნელი. იშვა ნიჩისა მჭნელი, მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი, თავს იდვა ვნება, მოკლა სიკვდილი, სჯლია ძლიერსა, ამას სუფევისავე ღირსყო ციერსა და

ჰყო-და მოზენით,
მოჰხედა ზენით
თამარს შუქ-ფენით
ნათელი ერსა,
მისცა დავლნი
ხმელთადა ველნი,
სკიპტრა მოპყრობელ-ჰყო
არსთა მიერსა: [41]
„სიტყვით ამჩნევსა
ელვით მრჩევსა
გცისკროს მობდევა [42]
მონახმიერსა“.
მტკიცედ აქვს სჯული,
სჩანს მართლმსაჯული [43])
ღვთის სახიერსა;
უძრწის ავარი,
სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა
და ლმობიერსა.

დასკვნა მგოსნისა

შენსასა დარსა
შენსა სადარსა
ვერა ვჭვრეტ ცხადად
და ხსოვნებაშიად:
თქვენა ზენათა,
მზეო,
თუმცა მზე ეთერს
ნამტკიცებარად,
მაგრა(მ) კალიბი (ყალიბი):
რაცგან კალიბი
შენთა შუქთა სძლევს
შუქ-მტაცებარად.
ვინ ნახა სად ვინ,
ნახსენა სად ვინ,
შენებრ ნათელთა
ბნელი მცებარად? (ცაზედ)
„ანუ ვის ესმის,
ანუ ვის ესმის
და არა იქნეს
განცვიფრებარად!“—
მჭვრეტნი ვიტყვით;
მჭვრეტნი ვიტყვით
ანუ თუ სიზრად
მაიცებარე:
„ან უცნაურად
ანუ ცნაურად
სოფლის წყალთა
დამშვენებ არე“ (არი):
რადგანცა დახვალ,
რადგან ცად ახვალ
ზოალი—ეტლი
მთვარე-ცებარე,
რომ ელვანება,
რომელ ვანება (სახლობა)
შენ ოდენ გქონდეს
მაცისკრებარე.

შენი დარი და ნასახი სად არისო. ამისთანას ვერცა ვჭვრეტ, არც მახსოვსო. შენ, მზეო, თუმცა მზე-ეთერის ნამტკიცები ხარო, გარნა ყალიბი შენთა შუქთა სძლევს მათს შუქსო.

შენებრ განჩინილი („ბნელი“) ვინ ნახა ცაზე. ვისაც ესმის, როგორ არ გაკვირდებაო. შენი მხილველნი ვამბობთ, რომ თამარი არის ცნობილად თუ უცნაურად სოფლის წყალთა დამამშვენებელიო.

რადგანაც, თამარ, შენ განისვენებ („დახვალ“), და ცად ახვალ ეგ ვირსკლავი („ზოალი ეტლი“), რომ იქ (ცაზედ) მხოლოდ შენ გქონდეს ბინა და მხოლოდ შენი ელვარება ასისკრებდეს.

არა გეთნია:
არ აგეთნია
მნათობნი; მით ვცნენ
დამშნელებარე (რომ)
მანა თოვლითა,
მანათო ელითა,
ვინა ტრფეა
ვინებრივ დია
ძე ღვთისა შენდა
ძად მშობდებარე.

პირმოთნეობით არ გეუნება, რომ არა ეგეთნია მნათობნი, ვითარცა თამარი. მნათობნი მით ვცან დამნელებულად, რომ თავის ელის დროს იმან გამართა თოვლივით, ვინც ტრფიალია. დიდად მენატრე, რომ ძე ღვთისამ მიგიწოდოა.

ახლა ვილა ვგრძნობ, რომელსაცა ჰქონდეს შენებრი ქცევა, გოიბა და სული წრფელი?

წუხადა ნელმან
რა სთქვს ანელმან
დღეს მუსურმანთა
მოსანთებარე?
შენ რომ აღარა ხარ,
აგარის ერთა
სალმობიერთა
სხვამცა ვინ იყოს
სრვად შემძლებარე?

—

დაპირება და შენიშვნა მგოსნისა.

თუ ქება გიქო,
სხვა რაღა გიქო?
ამად ვერ ვიტყვი
შენდ მიუტკრსა.
აწღა დავიწყებ,—
თუმო რას ვიწყებ
სასაქებოს
შენს საშუქარსა?!
მე რომ ვხედიდე
წარმ-წამმოთაგან
თქვენგნებ სრენლისა
მონაბუქანსა,—
აპა აწ რა ვქნა
თქვენგან გაყრილმან?
შენით სილქცხლე
მქონდა მიუქარსა!
მომეცეხ ძეთა
ხარუზხადეთა
გქო თამარი
მეფე წყლიანი,
შისი სიმტკე,—
ბრძენთა სირეტე,
თინათინ ჰქეს
ბადი წყლიანი,
ნუ ან თინათინ (რომ)
არაბეთს იყო,
სურადღათი,—
ჯერეთ ყმაწვილი,
წშითა ნაწილი,
სამოთხის ვარდი,
პირად მზიანი.

შემდეგს წერილში მოვიყვანთ ჩვენს აზრს შავთელისა (ხარისხადის) და რუსთველის შესახებ, აგრეთვე ზოგიერთ საბაასო კითხვებს.

მოსე ჯანაშვილი.

---

[38] შუვთელი (ტ. 79): ხელით მოჰხდა, რომ თამარმა „ძეულად სჯულითად, დადით, გიწოდა თავისად მეფობად“. და ხელს კურთხევით უფლებ ძალთა შემწე“ (ტ. 51).

[39] შუვთელი (ტ. 83): „მამადიანთ „სჯულნი შურქინს, მისცის ყოფლის“.

[40] ამირ-მირან, მნიშვნელი დავითის და ქართველთა, ძლიერებისა, ეხვეწებოდა თამარს: დაიპყართ სპარსეთი და სპარსთა ხელმწიფე ჩვენთა მოგვეცით თქვენი სჯული რჯულიდ, ნათელი და შეიგნებდეთ... (ქ. ც. 301).

[41] შავთელი (ტ. 66): ხესთა არსმან „ეს მოგვანიჭა ქრისტეს მიერად“.

[42] იქვე (ტ. 57): „სხივ მომცემლომ ელვა ცისკრობად“.

[43] იქვე (ტ. 47): „თვით ბჭეთა ბჭედ, მტკიცე ბჭეებ“, (ტ. 95): „მსაჯულ სიმართლისა“. (ტ. 79). „ფელად სჯულისად მართლმსაჯულისად“.

სების დავიწყებით! ვისაც უვლია ქართლ-კახეთში, ყველგან უნახავს ასეთი ვარამი. იქ, სადაც უწინ ბატის ნახირიც-კი ცალკე გადიოდა სოფლიდგან, ახლა სიტყვა **„ნახირიც“**-კი ამოშლილა ხალხის ლექსიკონიდგან... უმიწა-წყლობით ღორიც-კი გლეხს თოკით დაჰყავს, რომ გადურჩეს რისხვას ბატონისას გინდ მეზობლისას.

საუბედუროდ, სადაც მიწა-წყლის სიცოტავეს ვერ დაიჩივლებენ, იქაც-კი სათემო წესები აბუჩად გაუხდიათ ბოლო დროს და ნახირსაც თავისი კალო მოუღეწია. სოფლები გარე-კახეთისა: საგარეჯო, გიორგი-წმინდა, ნინო-წმინდა, ანთოკი და სხვა, რომლიაც ბოლოში იყრის პირამდე მშვენიერი სანახირო ადგილი, ესრედ-წოდებული „დაპრიაანი“, ჰქონდათ, დღეს კერძო მამულებად შემოუკავრნიათ და მერე ისე უბედურად, რომ ცხენიანი კაცი ვერ გაივლის სათცრად დახლაკნულ ორღობეებში. ნახირი-კი სადღაა? ყველას თავისი ჯულა ცხენი თითონ გაჰყავს საძოვარზედ, ბეჩავ ერთ ძროხისათვის პაწაწა ბალღს მოუკიდნია კუდზედ ხელი და ისე დაათრევს საძოვარზედ, ორ ხითს ფეხმოშველა და კაბა დაფლეთილი დიასახლისი დასდევს და ოჯახის საქმენი, ბავშვების მოვლა ღვთის ანაბარა გაუშვია.

ამ სოფლებში სულ ამ მცირე ხანებში მე მინახავს საერთო ღობე მთელ ვენახების, საერთო მევლენი ვენახების, საერთო მინდვრის დარაჯნი, საერთო სანახირო, სათიბი, თემის წესებზედ წველვა საქონლის, სათემო ხმარება მამულების... ეხლა ვენახი ყველას საკუთრივ შემოუკავრნია; ყველა თითონ სდარაჯობს თავის ვენახს, საერთო აღარა აქვთრა, და, იანგარიშეთ, რამდენა შრომა მისდით უხეიროდ, რამდენა ზარალი ეძლევათ! ამიტომ აღარ გიკვირთ ის მწარე სიღარიბე, რომელიც გამეფებულა სოფლის არემარეზე და სოფელში.

უკეთესად მეგონა საქმე სათემო წესებით განთქმულ ქიზიყში და უკანა მხარში, მაგრამ აქაც უარესი ვნახე: ამ ბოლო დროს სრულებით პირი შეუქცევიათ სათემო წესებისთვის, სასოფლო საქმენი მასხარად აუგდიათ...

შემომავლია ყოველი გერმანელთ ახალშენნი ჩვენში და, რაც ჩვენებისთვის მეტ ბარგად გამხდარა, ის ამათთვის აუცილებელ საჭიროებად, ურომლისოდ სოფელი სოფლობას ვერ გასწევს. საერთო ღობის ქონვა ვენახებისთვის, საერთოდ გარეკა ნახირის, ერთს ვადაზედ გასვლა სათიბად, სახნავად აქ დაკანონებულია. აი, სულ ამ მცირე ხანში დილა ადრიან გამოველ აივანზედ გერმანელ ახალშენ ასურეთში, ანუ მათებრ ელისავეტოდალში და ვსიამოვნებდი, როგორ გადიოდა ჯერ მრავალი ძროხის ნახირი, მერმე ცხენთა ჯოგი, შემდეგ ღორ-ხბო. ერთი დიდი ჯგლგა თხის ნახირიც ცალკე გავიდა, ბატობაც-კი ცალკე... თხა ამ ახალშენში მეტ სასარგებლო მეწველად უცვნიათ და ამ ორიოდ წელში ყოველ მეკომურს მრავლად გაუჩენია და სასოფლო ნახირი შეუდგენიათ. რძეს ატარებენ სეპარატორში, რომელნიც ყოველ უბანს ცალკ-ცალკე უყიდნიათ და აწარმოებენ. გავიდა სოფლიდგან ყოველივე ეს საძოვარზედ და დადონდგოლებული გერმანელების ოჯახობა შეუდგა თავ-თავის საქმეს.

(დასასრული იქნება)

მღვ. ზ. გულისაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

„ირინეს ბედნიერება“ სურათი ორ მოქმედ. დავ. კლდიაშვილისა, და „მარჯვე დღე“, კომედია 3 მოქმ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.

ვინც მხატვრის სახელოსნოში ყოფილა, ის უეჭველად შეჰნიშნავდა არა ერთ დაუმთავრებელ სურათს, რომელზედაც აღბეჭდილია სქემა მომავალის ნაწარმოებისა. აქა-იქ ზოგიერთი ფიგურა სრულიად არის დამთავრებული, ზოგან-კი მხოლოდ ბუნდოვანი მოსმაა ფერადისა. მაგრამ, მიუხედავად ამ გვარ უსწორ მასწორობისა, ნაწარმოების სახელმძღვანელო აზრი მაყურებლისათვის თვალნათლივია, მომქმედთა მნიშვნელობის განაწილება გარკვეული; სურათს სჭირია მხოლოდ განვითარება ამ დედა აზრისა და ტეხნიკურად შემუშავება.

სწორედ ასეთს სქემატიურ სურათს მიემსგავსება დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“.

პირველ მოქმედებაში ავტორმა შეჰკრა ინტრიგის კვანძი; ეს ის კვანძია, რომ ირინეს უყვარს როდამიშვილი და ამავე დროს მისთხოვდება აბესალომ სალამთაძეს. მეორე მოქმედებაში ამ კვანძის გახსნას ვხედავთ და იგი ჩვენ გვეუბნება, რომ „ირინეს ბედნიერება“, რომელიც მამას მართლა ბედნიერებად მიაჩნდა,—ბედნიერება-კი არ არის—სრული უბედურებაა.

ამ მომენტს რომ ზედ დაურთოთ ხლართი, ე. ი. თანდათანობითი სვლა ირინეს და აბესალომის ცხოვრების პირობათა, მათი შეუთვისებლობა, ბუნებრივად დაუკავშიროთ იგი დასასრულს, მაშინ თვალწინ გადაგვეშლება სრული ნაწარმოები, რომელიც მაჩვენებელი კი არ იქნება მხოლოდ ამა თუ იმ ეპიზოდისა, არამედ გაგვითვალისწინებს მთელს ცხოვრებას.

მაგრამ ბ. კლდიაშვილის „სურათებს“ სწორედ ეს ხლართი აკლია და იგი ნაკლულოვანება უკარგავს ამ ნაწარმოებს სათანადო მნიშვნელობას.

აი, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „სურათების„ უმთავრესი გმირი ირინე (ქ. ლეჟავა) სრულიად არა სჩანს პიესაში და მხოლოდ მეორე მოქმედების დასასრულში იჩენს ცოტაოდენ ფხას, როცა თავისს ქმარს აბესალომს (ბ. სვიმონიძე) ყვედრებით მიჰმართავს.

„სურათების“ მეორე გმირი აბესალომიც ვერ არის დამთავრებული ტიპი და მის დასურათებაში ავტორი თავისს თავს, ცოტა არ იყოს, ეწინააღმდეგება. პირველს მოქმედებაში აბესალომი გვეჩვენება ტარიელ მკლავაძისებურ ადამიანად, რომელსაც უცბად აშლილი ჟინი ირინესადმი,—აიძულებს ცოლად შეირთოს იგი და ამით ამ ქალის ბედნიერება უბედურებად შესცვალოს. მეორე მოქმედებაში აბესალომის გულის-წყრომა, ცოლის მიმართ, როგორლაც ბუნებრივია, არა-მოჩვენებული, რადგანაც საფუძველი გულის-წყრომისა ექვია ირინეს ერთგულების გამო. აბესალომს გულში წყლულად ჩასჭრია ირინეს წინანდელი სიყვარული როდამიშვილისადმი (ბ. გუნია); ამას ზედ დაერთვის ათასნაირი მითქმა-მოთქმა და დაცინება ტოლ-ამხანაგისაგან. აბესალომის თავ-მოყვარეობა, რაღა თქმა უნდა, ვერ შეიშვნევს ამას და ირინეზედ ხანჯალ ამოწვდილი მიიწევს.

წინააღმდეგობა-კი იმაში ჰსუფევს, რომ პირველი მოქმედების აბესალომი არა ჰგავს ხასიათის თვისებით მეორე მოქმედების აბესალომს. მეორე მოქმედების აბესალომი მსხვერპლია თავმოყვარეობისა, რომელიც შეურაცყოფილად მიაჩნია და ეს მიჩნევა, როგორც ზევითა ვთქვით, იმის ავყიაობაზედ-კი არ არის დამოკიდებული, არამედ გულწრფელ შეცდომაზედ. პირველ მოქმედების აბესალომისათვის კი ასეთი საბუთები საჭირო როდია, რომ ცოლზედ გულ-აცრუებულმა, ჟინის მოკვლის შემდეგ, გაადუხჭიროს მისი მდგომარეობა. მეორე მოქმედების აბესალომი თითონ-კე არ დაეძებს საბუთებს ცოლის ორგულობისას, როგორც მოიქცეოდა პირველ მოქმედების აბესალომი, არამედ ეს საბუთები თვით ეძლევა ხელში.

ყველაზედ უნაკლულოდ „სურათებში“ ირინეს მამა-ფილიპე ბარბაქაძეა (ბ. ბალანჩივაძე) განპიროვნებული. კლდიაშვილის ბუნებრივი იუმორი, მისივე ცოდნა იმერეთის შვილთა ზნე-ჩვეულებისა სრულს განხორციელებას ჰპოვებს ფილიპეს არსებაში. ფილიპე ძველი წყობილების ხასიათის კაცია; ამ დროის ზნე-ჩვეულება როდი მიჰკარებია მას. თავადობის ხარისხის პატივის-მცემელი ფილიპე გაკვირვებას ეძლევა, როგორ ეთქმის თავადს სალამთაძეს უარი ქალის მიცემაზედ მაშინაც-კი, როცა ქალს სხვა უყვარს. ეს თავისუფალი, მშობლების დაუკითხავი სიყვარული განცვიფრებაში აგდებს ფილიპეს და მისი აზნაურული ფრთა-შეკვეცილობა თავადურ აღმატებულობის წინაშე ქედს იხრის და „ირინეს ბედნიერებას“ თავისებურად გადასჭრის. ბოლოს ძალიან იცემს ცხვირში, მაგრამ აწ გვიაღაა.

მხოლოდ რაც შეეხება სცენის ტეხნიკას და სიტყვა-პასუხის იერს,—ამ მხრივ „სურათები“ ცოცხლად და მარტივად გვიხასიათებენ იმერეთის ცხოვრებას, სწორედ ისე, როგორც შეჰფერის კლდიაშვილის მხატვრულ შემოქმედებას.

რაც შეეხება „ირინეს ბედნიერები“-ს წარმოდგენას ჩვენს სცენაზედ, ამის შესახებ ლაპარაკი რეჟისორისადმი საყვედურით უნდა დავიწყოთ. როდესაც გასტრალიორს იწვევ და ამასთანავე გასტრალიორს, არა დიდებულის სახელის მქონეს, საჭიროა მისი მდგომარეობა ისე მოაწყო, რომ უხერხული პირობები ხელს-კი არ უშლიდნენ, არამედ ხელს უწყობდნენ.

ამგვარი ხელშეუწყობლობა-კი როლების უხეირო განაწილებით გამოითქვა. ვიქტორის როლის მოთამაშე ბ. ლანდი საზოგადოდ ლანდივით მკრთალი გამომხატველია ხელოვნებისა და „ირინეს ბედნიერებაში“ ხომ მავნე სულად გარდაიქცა, რომელიც თითოეულის სიტყვით, თითოეულის მიხვრა-მოხვრით სწამლავდა მთელს ილიუზიას. მისმა უხერხულობამ თითქმის გაანახევრა ბ. ბალანჩივაძის ფრთა შესხმული თამაშობა. ბალანჩივაძის ამა თუ იმ სიტყვით, ან მოძრაობით აღტაცებულს როცა თვალი ბ. ლანდზედ გადაგქონდა,—ისე ჰგრძნობდით თავს, თითქოს ცივი წყალი გადაგასხესო. მართალია, ვიქტორის როლი დეკორატიულია,—მაგრამ ცხოველი და უნარიანი მოთამაშე ისეთ ელფერს აადევნებდა ამ როლს, რომ დასჩრდილავდა მის უფერულობას. როდესაც კ. მესხი დასში იმყოფება, რა საჭიროა ამისთანა როლის ლანდისათვის მიცემა? მერე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროა იმერული კილო-კავი ლაპარაკისა. ბ-ნი ლანდი-კი ქართლ-კახურ ტეტიასავით ზლაზვნით და უსწორ-მასწოროდ ძლივს იდგავდა ენას.

ხუთშაბათის წარმოდგენის ქვა-კუთხედი ბ. ბალანჩივაძე იყო. პირველად ვხედავთ ჩვენს სცენაზედ ბ. ბალანჩივაძეს და გულწრფელად უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს პირველი ნახვა ყოვლის მხრით მისდა სასარგებლოდ ჰღაღადებს. არის მწერლობაში ისეთი ტიპის დასურათება, რომლის ხასიათში იგულისხმება არა რომელიმე წრე ან ჯგუფი, არამედ მთელი ეროვნება, ანუ შტო მისი. (ქართულ მწერლობაში ლუარსაბ თათქარიძე, რუსულში ობლომოვი და სხვანი). ზოგიერთ მსახიობთაც ეხერხებათ ხოლმე ამგვარად განპიროვნება ტიპისა სცენაზედ.

ბ-ნი ბალანჩივაძე „ირინეს ბედნიერებაში“ როდი იყო აზნაური, თავადი ან გლეხი, არამედ იგი იყო იმერელი, იმერელი თავით-ფეხამდე, დარბაისელი, როგორც შეჰშვენის ხნიერ ადამიანს, ცქვიტი, როგორც—იმერელს, ზვიადი უმცროსთან, თავ-დაჭერილი ძლიერთან... დამცინავი და მაქებარი, ხრიკიანი ერთ შემთხვევაში, გულუბრყვილო მეორეში... ერთის სიტყვით ბ-ნ ბალანჩივაძემ გაგვითვალისწინა კერძოდ ფილიპე ბარბაქაძე და საერთოდ-კი ზოგადი ტიპი იმერლისა. ფილიპეს როლის აღსრულებაში ბ-ნ ბალანჩივაძემ ისეთი წვრიმალი კერძობა შეიტანა, რომ ცხადად დაგვანახვა, თვისის ნიჭის გარდა, სერიოზული დაკვირვება და ალღო ზომიერების დაცვისა. ბალანჩივაძეზედ ვერ ითქმის ამ სცენაში კარგი იყო, იმაში-კი მოისუსტებდაო. არა! იგი თავიდგან ბოლომდე თანასწორ შეუდარებელი იყო. მხოლოდ ერთ რამეს შევნიშნავთ: მსახიობის თვალების მკვირცხლ და ცოცხალ გამომეტყველებას სახის სათანადო მოძრაობა აკლია, ე.ი. მოძრაობა სახის მუსკულთა. ეს ნაკლულოვანება-კი დასაძლევია; თუ ეცდება.

დანარჩენ მსახიობთ, რაღა თქმა უნდა, ყველას, გარდა ვ. გუნიასი, იმერული ელფერი აკლდათ, თუმცა ცდილობდნენ იმერულ კილოზედ ლაპარაკს, მაგრამ... სასაცილო იყო განსაკუთრებით ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მეცადინეობა, რომელიც ყოვლად უნაყოფო დარჩა.

პირველი მოქმედების ის სცენა, საცა აბესალომ და როდამიშვილი ერთმანეთზედ მიიწევენ, მშვენივრად გამოვიდა. ჯგუფთა არევ-დარევა, მოჩხუბართა გაზავება ბუნებრივი იყო და წესიერი.—

„მარჯვე დღე“-ში თავი იჩინეს, ჩვეულისამებრ, ბ-ნმა შათირიშვილმა და გედევანოვმა—ერთმა ჩინოვნიკის ივანოვის როლის შეუდარებლის გადმოცემით და მეორემ გენერლისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, გასტრალიორი საზოგადოებამ თანაგრძნობით მიიღო.

ქუთაისი. 13 ოკდომბერს ბ-ნ მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით წარმოადგინეს „დედაკაცის საქმე“ და „ალიაქოთი კეთილ-შობილ ოჯახში“.

ხელოვნურად ითამაშეს ქ.ქ. აბაშიძემ და ივანიძემ—პირველმა ახალგაზდა ქარაფშუტა გამოუცდელი ქალის როლი (კატო), რომელიც სიყვარულს უცხადებს თავის მასწავლებელს (იმედაშვილი) და მეორემ როლი ხანში შესულის გასათხოვარის ქალის, რომელიც, თუმც მახინჯზედ უმახინჯესია, მაგრამ თავისი თავი ყველაზედ უკეთესი ჰგონია და სცდილობს ყველას თავი მოაწონოს.

თითქმის ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ ქუთაისის მსახიობები ამ საღამოს და განსაკუთრებით-კი თავი ისახელა ისეც სახელოვანმა ბ-ნმა მესხიშვილმა. ჩვენ ის შეუდარებელი გვეგონა პარტო დრამებში, მაგრამ ამ საღამოს მესხიშვილმა თავისი ხელოვნურის თამაშით დაგვიმტკიცა, რომ ნამდვილი ნიჭისთვის არაფერი არ არის განსაზღვრული და ყველგან შეუძლიან თავისი ძლიერება გამოიჩინოს...

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ აქაურ ქართველ საზოგადოებას, ასეთი გულ-გრილობა თეატრისადმი. ეს მეხუთე წარმოდგენა გაიმართა აქ ამ სეზონში და თეატრი ყოველთვის თითქმის ცალიერი ყოფილა. როგორც გავიგეთ, თუ მეტი თანაგრძნობა არ გამოიჩინა ქუთაისის ქართველ საზოგადოებამ თეატრისადმი, ბ-ნი მესხიშვილი თავისი დასით ბათუმში აპირებს ამ სეზონში გადასვლას...

სიმართლე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 ოკდომბერი.

ნიუ-იორკი. გენერალ ურიბესთან ერთად 1500 კაცი დაჰნებდა კოლუმბიის მთავრობას რიო-ფრიასთან. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა.

სოფია. იანკოვს ფეხი მაგრად მოუკიდნია ვარდარას იქით მხარეს.

კოპენჰაგენი. შესდგა კომიტეტი ასაგებად ძეგლისა იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ისათვის ფრედენბურგის სასახლის ბაღში.

მოსკოვი. მოსკოვის ხორბლეულის ბირჟის საზოგადობის კრებამ დაარსა სტიპენდიები ფინანსთა მინისტრის სახელობაზე და მინისტრის ამხანაგის კოვალევსკისა.

ლონდონი. 16-ს ოკდომბერს აირს, შოტლანდიის, ბანკსმონმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის პოშენება სრულიად ეთანხმება ლიბერალთა სურვილსაო. კიტჩენერის მეცადინეობა, სჩანს, უზრუნველ ჰყოფს ინგლისის უზენაესობას. ორატორი იწონებს მოგზაურობას ჩემბერლენისას, რომელსაც შემთხვევა ეძლევა დაანახვოს ყველას, რომ ინგლისის ტომი მოწოდებულია ჰმართოს ერნი.

იალტა. მოვიდა ოსმალეთის განსაკუთრებული საელჩო თურხანფაშის მეთაურობით.

ლონდონი. „Nation. R.“, ჰბეჭდავს-რა წერილს ინგლისის გარეშე პოლიტიკის შესახებ, იგონებს გერმანიის მთავრობისა და ერის მიმართულებას ტრანსვალის ომის დროს და ეს მიმართულება-კი გერმანიისა ინგლისისადმი სიძულვარის დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნია. აღნიშნული წერილი ამ გარემოებას უპირდაპირებს რუსეთის გულწრფელ პოლიტიკას. ყურადღებაა მიპყრობილი აგრეთვე სპარსეთის ბოლაზზედ. ინგლისელებს აფრთხილებს ბაღდადის რკინის გზას ხელს ნუ შეუწყობთო, რადგან რუსეთთან შეთანხმების მოქმედება უფრო ხელსაყრელიაო.

პეტერბურგი. საგზაო სამინისტრომ წინადადება მისცა რკინის გზებს სამგზავრო ვაგონები ელექტრონით გაანათონ.

18 ოკდომბერი

ეკატერინოსლავი. „Прид. Край“ იტყობინება, რომ ეკატერინოსლავის ოლქის სასამართლომ განიხილა გლეხი პერესადის საქმე. ოლქის სასამართლომ პერესადის 5 წლით გამასწორებელთა რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა; ამ გადაწყვეტილების მეტეობის შემდეგ პერესადმ დანით ყელი გამოიჭრა. ექიმები მიეშველნენ. გადარჩენა საეჭვოა.

რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის და ბოლივიის ჯართა შორის ომი დაიწყო. ომის მიზეზი არის ის, რომ ბრაზილიამ უარი განაცხადა ხელი მოეწერა იმ კონცესიაზედ აკრში, რომელიც ბოლივიამ ამერიკის სინდიკატს წარუდგინა. ბრაზილია შიშობს, ვაი თუ, აკრის დათმობას შეერთებულ შტატების გაბატონება მოჰყვეს ამაზონკაშიო.

სარატოვი. დ. გ. ზეიფერტის ფირმა გაკოტრდა. ვალი 100,000 მან.

ლონდონი. როგორც პეტერბურგიდგან იტყობინებიან, მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას სინდიკატი ქვა-ნახშირის წარმოებისა. თანხა—24,000,000 გირ. სტერლინგია.

პორტორიკო. კუნძულის ზოგიერთ ადგილებში პოლიტიკური ამბოხება მოხდა. ორი მოკლულია და 15 მძიმედ დაჭრილი.

პორტ-ოფ-სპენი. საფრანგეთის კრეისერის „D'Ecpe“-ს უფროსმა პრეზიდენტის კასტროს წარმომადგენელს აძულა კრეისერზე გამოცხადებულიყო და მოწმეთა თანდასწრებით ბოდიში მოეხადა საფრანგეთის სატელეგრაფო საზოგადოების დირექტორის უკანონოდ დაპატიმრებისათვის, რომელიც საფრანგეთის საელჩოს აგენტად ითვლებოდა.

ვაშინგტონი. ჩინეთის ელჩი ცდილობს, სახელმწიფოები დაიყოლიოს ნებაზე, რათა გააგის სამედიატორო სამართალს გარდაეცეს განსახილველად სამხედრო კონტრიბუცია ოქროს თუ ვერცხლის ვალიუტით უნდა იქმნას დაკმაყოფილებული,

იალტა. ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ შინაგან საქმეთა მინისტრი და სტამბოლის ელჩი.

ეკატერინოსლავი. ადგილობრივ ნოქართა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ხარჯით დაარსდა ექვს კლასიანი კომერციული სასწავლებელი,

პარიჟი. სენატმა 1636 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 90, მართებლობის განცხადება საკონგრეგაციო სკოლების დახურვისა—მოიწონა.

— დელონკლემ წერილი გაუგზავნა დელკასეს, რომლითაც ჰკითხავს სიამსთან მომხდარ თანხმობას. ის პალატას ამის შესახებ ცალკე შეკითხვას წარუდგენს.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37¹/₂
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¹/₄ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . . . მამულო ბანკისა .	94¹/₂
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471¹/₂ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	288 წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89¹/₄
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,200 წვრ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	356 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	187 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან). . . .	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის ბირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

19 ოკდომბრისთვის

1. კოსტანტინე იოსების ძესი და სვიმონ აბდუშელიშვილების დავა მამულის გაყიდვის შესახებ.
2. დავით ნოზაძის და ნიკოლოზ ბერუჩავას დავა.
3. ივანე ჯანჯავასი და დავით ჯანჯავას დავა.
4. სოლომონ ბუკშტეინის და ფარნაოზ ვაწაძის დავა.
5. პავლე ბუაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
6. ლუკასი და უტო ბახიათა დავა.

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.